

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება;

ბ) კანონპროექტის მიზანი

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება;

გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2017 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. რეფორმების 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

2014 წლის მეორე ნახევრიდან ჩვენს რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და რიგ შემთხვევებში ეკონომიკური ვარდნაც დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდით საქართველო ლიდერია რეგიონში, მაინც აღნიშნული ზრდის ტემპები არ არის დამაკმაყოფილებელი. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით მომდევნო წლებში, სიტუაციის მნიშვნელოვანი შეფასება პოზიტიური ცვლილება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, რადიკალური ცვლილებების გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენს ქვეყანაში იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები, რაც აუცილებელია ჩვენი მოსახლეობის დასაქმებისა და მათი შემოსავლების და კეთილდღეობის ზრდისათვის. ეკონომიკური ზრდისათვის კი მნიშვნელოვანია უფრო მეტი ინვესტიცია.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარების დაჩქარების და კერძო ინვესტიციების წახალისებისათვის საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა მოგების გადასახადის რეფორმის სახით, რაც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მათი მიღებული მოგება, გადასახადების ნაცვლად მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

USAID-ის მიერ განხორციელებული კვლევების შესაბამისად, აღნიშნული რეფორმა ეკონომიკურ ზრდას დააჩარებს დაახლოებით 1,5%-ით.

პარალელურად, იგეგმება სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. ეს ინვესტიციები ორიენტირებულია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, რომლებმაც უნდა წახალისოს ინვესტიციები და ეკონომიკური აქტივობა კერძო

სეტორში. ამასთან პროექტებს ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობი ეფექტები ექნება არამხოლოდ მათი განხორციელების პერიოდში, არამედ მათი დასრულების შემდგომაც.

მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (800 კმ გზები, ხიდები, გვირაბები, აეროპორტები, საკურორტო ზონები და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით.

ამასთან, აღნიშნული რეფორმების განსახორციელებლად, ქვეყნის ფისკალური სტაბილურობის და სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ბიუჯეტში დამატებითი რესურსების მოძიება.

რეფორმების დაფინანსებისთვის ვგეგმავთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ბერკეტის გამოყენებას, კერძოდ:

- თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში 10 – 10 პროცენტით იკვეცება შრომის ანაზღაურების ფონდი და ადმინისტრაციულ ხარჯები, აღნიშნული შემცირება 2016 წელთან შედარებით იწვევს 100,0 მლნ ლარზე მეტი ეკონომიის წარმოქმნას;
- სოციალური და ეკონომიკის ხელშეწყობის კუთხით ჩატარებული ანალიზის გათვალისწინებით, მცირდება ან უქმდება საბიუჯეტო პროგრამების ნაწილი;
- შეიზღუდება სახელმწიფო ავტოპარკი და შემცირდება საწვავის ხარჯები;
- იგეგმება ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის გაუქმება ან ბიუჯეტიდან დაფინანსების შეწყვეტა. მათ შორის,
 - ✓ გაუქმდება საინვესტიციო სააგენტო და მისი ფუნქციები დაემატება ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს;
 - ✓ დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტო აღარ დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
 - ✓ მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დაფინანსება;
 - ✓ გაუქმდება ეკონომიკური საბჭოს აპარატი.

აღნიშნული რეფორმების შედეგად 2017-2020 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები, კერძოდ.

მიმდინარე წელს ჩვენი ეკონომიკის (ნომინალური მშპ) 26,5% იხარჯება მიმდინარე ხარჯებში. ჩვენ ამ შეფარდებას ყოველწლიურად შევამცირებთ და ჩამოვალთ მშპ-ს 21,5%-მდე, ამასთან სოციალური ხარჯები ნომინალურ გამოხატულებაში ყოველწლიურად გაიზრდება.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი მშპ-ს 5,3%-იდან 2017 წელს მცირდება 4,7%-მდე, ხოლო 2020 წლამდე შემცირდება 3,9%-მდე.

საქონელი და მომსახურების კუთხით გაწეული ხარჯები წლევანდელი 4,3%-იდან 2020 წლამდე მცირდება 3,2%-მდე.

შემოსავლების გაზრდის კუთხით ჩვენ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად გავაანალიზეთ შესაძლო ვარიანტები, რის შედეგადაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომელიც დამატებითი შემოსავლების მიღებასთან ერთად დაგვეხმარება ჩვენი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებასა და შესაბამისად ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებაში.

2017 წლიდან დაგეგმილია

- **თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ზრდა.** კერძოდ, ფილტრიან სიგარეტზე აქციზი იზრდება 0,60 ლარით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 0,30 ლარით, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირების გათვალისწინებით დამატებით გვამღევს 200,0 მლნ ლარამდე დამატებით შემოსავალს;

თამბაქოს ნაწარმი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საიმპორტო ჯგუფია. მისი იმპორტი ყოველწლიურად 100 მლნ დოლარზე მეტი ვალუტის გადინებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს დაბეგვრის მიმართულებით საქართველოს აქვს საერთაშორისო ვალდებულებებიც. კერძოდ, თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად რომელზეც საქართველო მიერთებულია 2006 წლიდან, ქვეყნებმა უნდა განახორციელონ საგადასახადო პოლიტიკა თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად (გაერო, 2003 წლის 21 მაისი). მეორეს მხრივ ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება დაწეროს ევროკავშირის 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივა (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ). დირექტივის მე-10 მუხლის შესაბამისად სიგარეტზე აქციზურმა გადასახადმა საქართველოში უნდა შეადგინოს საშუალო შეწონილი საცალო ფასის არანაკლებ 60 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 90 ევროვი ათას ლერ სიგარეტზე.

აღნიშნული პირობის შესასრულებლად (დირექტივით განსაზღვრულ ფასთან მიახლოების მიზნით) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გააჩნია შესაბამისი გათვლები თუ რა პერიოდულობით და რა ოდენობით უნდა გაიზარდოს აქციზი, რომ მიღწეულ იქნას საბიუჯეტო სტაბილურობა, რათა აღნიშნულმა არ გამოიწვიოს სფეროში მოღვაწე ბიზნესების საქმიანობის შეფერხება და აცილებულ იქნეს უკანონო ვაჭრობის მოცულობის ზრდის შესაძლო საფრთხე. (1 კოლოფ სიგარეტზე აქციზის ოდენობა უნდა იყოს მინიმუმ $90/50=1,8$ ევროს ($1,8 \times 2,7=4,86$ ლარის) ოდენობით. დღეის მდგომარეობით, საშუალოდ აქციზის განაკვეთი 1 კოლოფ სიგარეტზე შეადგენს 1.35 ლარს.

საქართველოში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვადასხვა გამოკვლევების მონაცემებით, დღეისთვის თამბაქოს ნაწარმის მოხმარებელია ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 40%.

აქციზის ზრდა თამბაქოს ნაწარმზე მისი მოხმარების შემსაცირებლად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა. საქართველოში ბოლო წლებში რამდენჯერმე მოხდა აქციზის გაზრდა სიგარეტზე, რამაც გამოიწვია მოხმარების შემცირება 5%-მდე. ჩვენი გათვლებით,

აქციზის ახალი განაკვეთების ამოქმედებით მოხმარების შემცირება დამატებით 8-10%-მდე მოხდება.

- **გაიზრდება აქციზის განაკვეთი ავტომობილებზე, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირებასთან ერთად 2017 წელს მოგვცემს დამატებით 45,0 მლნ ლარის შემოსავალს**

ავტომობილების წმინდა იმპორტი (იმპორტსა და რეექსპორტს შორის სხვაობა) საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გაორმაგდა. 2015 წელს ავტომობილების წმინდა იმპორტი (რეექსპორტის გამოკლებით) წინა წელთან შედარებით გაიზარდა 21.4 %-თ და შეადგინა 288 მლნ აშშ დოლარი. ზრდის დინამიკაა 2016 წელსაც. 2016 წელს ავტომობილების წმინდა იმპორტი გადააჭარბებს 300 მლნ აშშ დოლარს.

წარმოდგენილი კანონპროექტით, შემუშავებულია ავტომობილზე აქციზის განაკვეთები, თანაბარი საგადასახადო ტვირთის და ასევე გარემოს დაცვითი პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ძველი და გარემოსათვის მავნე ავტომობილებისათვის უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ავტომობილის იმპორტზე საგადასახადო წნეხი არის მნიშვნელოვნად დაბალი, კერძოდ:

- ✓ კერძოდ, უკრაინის შემთხვევაში საშუალო საგადასახადო წნეხი შეადგენს ავტომობილის საბაჟო ღირებულების 50-დან 90 პროცენტამდე;
- ✓ აზერბაიჯანის შემთხვევაში საშუალო საგადასახადო წნეხი შეადგენს ავტომობილის საბაჟო ღირებულების 20-დან 50 პროცენტამდე;
- ✓ ევრაზიის კავშირის ქვეყნები ავტომობილის იმპორტს ბევრჯერ ერთიანი განაკვეთით საბაჟო ღირებულების 54%, მაგრამ არანაკლებ 2.5 ევრო/სმ -ზე.

წარმოდგენილი კანონპროექტით საქართველოში იმპორტირებული ავტომობილის ძირითად ნაწილზე გადასახადების ოდენობა შეადგენს ავტომობილის ღირებულების 8-10 პროცენტს, რაც მიუხედავად განაკვეთების ზრდისა, რამდენჯერმე ჩამორჩება ჩვენს რეგიონში სხვა ქვეყნებში არსებულ განაკვეთებს.

- **გაიზრდება აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე, რაც იმპორტის ნაწილობრივ შემცირებასთან ერთად დამატებით 250,0 მლნ ლარზე მეტ შემოსავალს მოგვცემს 2017 წლის ბიუჯეტში**

იმ პირობებში, როდესაც ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს ალტერნატიული ენერჯის წყაროების მოძიებას და სატრანსპორტო ქსელის ნავთობზე დამოკიდებულების შემცირებას, საქართველოში წლიდან წლამდე, შემცირების ნაცვლად, ავტომობილების რაოდენობა და შესაბამისად ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტის მოცულობა იზრდება. 2015 წელს საქართველოში დაახლოებით 660 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი განხორციელდა.

საწვავის იმპორტი საქართველოში მოხმარება მოდმივად იზრდება. 2016 წლის ათ თვეში იმპორტი რეალურ გამოხატულებაში (ტონებში) 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35 პროცენტით გაიზარდა. ეს ნიშნავს 35 პროცენტით გაზრდილ გამონაბოლქვს, 35 პროცენტით გაზრდილ საცობებს და ა.შ.

აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ართულებს დიდი ქალაქებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, ამძიმებს მოქალაქეების, განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას. თანამედროვე მსოფლიო, ავტომობილებზე სხვადასხვა ტიპის გადასახადების შემოღებასთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციასთან ერთად, ცდილობს ბენზინის ძრავიანი ავტომობილების ჰიბრიდულ და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებებით ჩანაცვლებას.

ამ მხრივ, საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა - ჯერ განახევრდა, ახლა კი, 60-ით მცირდება აქციზის გადასახადი ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტზე, ელექტრომანქანების იმპორტი კი საერთოდ არ იბეგრება.

საქართველოში ბენზინის ფასი მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებსა და თუნდაც მეზობელ თურქეთში, ამიტომ ხშირად საშუალო შემოსავალის მქონე მოქალაქეებიც არ ერიდებიან დიდი კუბატურის ძრავის მქონე, მეორადი ავტომობილების შეძენას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით ასახავს ჰპოვებს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. საწვავზე აქციზის გადასახადის გაზრდით, შემცირდება ქვეყანაში ბენზინის მოხმარება, რაც სტიმული იქნება ავტოპარკის მცირემოცულობის ძრავიანი, ჰიბრიდული და ელექტრო მანქანებით განახლებისთვის, საბოლოო ჯამში კი ეს ღონისძიება დადებით ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლის პროგნოზები. მიმდინარე წელს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცლად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში (2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა). მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2017 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის და მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 4%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 6%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3,0%-ის ფარგლებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2017 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 35,9 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2020 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 45,2 მლრდ ლარამდე.

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით 2017 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 9 540,0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 26,6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11 457,2 მლნ ლარით განისაზღვრა, მათ შორის:

- შემოსავლები - 9 489,5 მლნ ლარი;
 - საგადასახადო შემოსავლები - 8 820,0 მლნ ლარი (მშპ-ს 24,6%), მათ შორის:
 - საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 570.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 7.1 პროცენტს შეადგენს;
 - მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 681.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 1.8 პროცენტია (2017 წლიდან დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება, რაც ამცირებს 2017 წელს ამ გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზს, რეფორმის განხორციელების გარეშე მოგების გადასახადის სახით შესაძლებელი იქნებოდა 1 200.0 მლნ ლარზე მეტის მობილიზება);
 - დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 779.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 10.5 პროცენტს შეადგენს;
 - აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 627.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 4.5 პროცენტს შეადგენს;
 - იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 76.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.2 პროცენტს შეადგენს;
 - სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 87.0 მლნ ლარით.
 - გრანტები - 284,5 მლნ ლარი, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 130.0 მლნ ლარი, ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 154.5 მლნ ლარი;
 - სხვა შემოსავლები 385,0 მლნ ლარი, მათ შორის 40,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია სსიპ-ებიდან მისაღები სახსრები, ვინაიდან საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ფუნქციონირებად სსიპ-ებშიც განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება;
- არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 90.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 85.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 1 792.7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 922.7 მლნ ლარი;

- მსოფლიო ბანკის და ევროკავშირისგან მისაღები საბიუჯეტო კრედიტები - 470.0 მლნ ლარი;
- სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 400,0 მლნ ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 11 415.5 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10 338.3 მლნ ლარს, გრანტები 154.5 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 922.7 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 9 121.2 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 393.5 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 144.3 მლნ ლარი;
- პროცენტი - 503.0 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 419.9 მლნ ლარი;
- გრანტები - 1 020.3 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3 313.2 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 327.0 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია - 999.0 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 810.7 მლნ ლარი;

ვალდებულებების კლება შეადგენს 526.2 მლნ ლარს, საიდანაც 431.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 95.2 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 2016 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება 253,8 მლნ ლარით და შეადგენს 3 415.8 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 29.9%). აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის - 2 438.0 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური ხარჯების დაფინანსება;
 - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის - 894.5 მლნ ლარი;
 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის - 30.0 მლნ ლარი;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება 144,8 მლნ ლარით და გათვალისწინებულია 1 116.2 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ზოგადი განათლების დასაფინანსებლად - 655.9 მლნ ლარი, (ითვალისწინებს მასწავლებელთა გარკვეული კატეგორიისათვის ხელფასების მატებას. ასევე, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე პედაგოგებისათვის გათვალისწინებული დანამატების დასაფინანსებლად საჭირო ხარჯებს);
 - პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 29.6 მლნ ლარამდე;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად - 128.9 მლნ ლარზე მეტი;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 88.8 მლნ ლარამდე;
 - დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიიმართება (მათ შორის ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - გრანტი) 98,1 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 258.0 მლნ ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის - 78.0 მლნ ლარზე მეტი;
 - შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის - 47.0 მლნ ლარი;
 - რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები - 35.0 მლნ ლარი;
 - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვისათვის - 20.0 მლნ ლარი;
 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 4.9 მლნ ლარამდე;
 - აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები - 7.0 მლნ ლარი;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 258.0 მლნ ლარზე მეტი, რაც 308,0 მლნ ლარით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 849.2 მლნ ლარამდე;
 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - 176.2 მლნ ლარამდე;
 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 183.9 მლნ ლარზე მეტი;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 370.5 მლნ ლარამდე, (მ.შ. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 41.7 მლნ ლარამდე, ანაკლიის პორტისათვის მიწების გამოსყიდვა 96 მლნ ლარი, ქუთაისის აეროპორტის ტერმინალის დამატებისა და ბილიკისათვის 30 მლნ ლარი, სამთო-სათხილამურო კურორტებისათვის 111 მლნ ლარი);
- თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 748.0 მლნ ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 585.0 მლნ ლარი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 118.0 მლნ ლარი;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 139.1 მლნ ლარი;
- ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილია 132.3 მლნ ლარი (მ.შ. გაზიფიკირების სამუშაოებისთვის 20.5 მლნ ლარი);

- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 110.0 მლნ ლარი;
- კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 99.6 მლნ ლარი;
- იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 62.0 მლნ ლარზე;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილია 84.8 მლნ ლარამდე;
- სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 136.8 მლნ ლარზე მეტი;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 35.7 მლნ ლარი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 82.3 მლნ ლარს;
- 17,0 მლნ ლარით არის გაზრდილი საერთო სასამართლოების დაფინანსება და შეადგენს 69,0 მლნ ლარს;
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გათვალისწინებულია 260,0 მლნ ლარი;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია 20.0 მლნ ლარი;
- მთავრობის სარეზერვო ფონდი 40 მლნ ლარით, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 მლნ ლარით განისაზღვრა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა შეადგენს 675.1 მლნ ლარზე მეტს.

პროექტი ითვალისწინებს 65 მლნ ლარს ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის, აღნიშნული სახსრები მოხმარდება იმ ფიზიკური პირების სესხების ლარში კონვერტირების სუბსიდირებას, რომელთაც უცხოურ ვალუტაში აიღეს სესხი 2015 წლის 1 იანვრამდე, არაუმეტეს 100.0 ათასი ლარისა აღნიშნული პროგრამა საორიენტაციოდ შეეხება 33 .0 ათასამდე ფიზიკურ პირს.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

–

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

– კანონპროექტის თანმდევ კანონპროექტებს წარმოადგენს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

–

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

–

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

–

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტის თანმდევ კანონპროექტებს წარმოადგენს „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებულ ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.